

თვითმმართველი თემი ამბროლაურის
მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ამავე საკრებულოს წევრის,
მაჟორიტარი დეპუტატის ხიდიკრის ადმინისტრაციულ ერთეულში
ლერი გელოვნიშვილის

ი ნ ი ც ი ა ტ ი ვ ა

**ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიმშიში მდ. რიონზე არსებული
ხიდიკრის ახლადრესტავრირებული ხიდისათვის დავით (დათუნია)
სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ**

დავით (დათუნია) სხირტლაძეს მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის რაჭის და ზოგადად ქართული კულტურის განვითარებაში. მის მიერ დადგმული ცეკვა „ტაში ბიჭო, გიორგუნა“ დროის მცირე მონაკვეთში გახდა პოპულარული, გასცდა ქვეყნის ფარგლებს და საქართველო მსოფლიოს გააცნო. დათუნია არა მხოლოდ მოცეკვავე, არამედ მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება, რაჭის ერთ-ერთი გამორჩეული კოლორიტი და ღირსეული ქართველი იყო. მთელი მისი ცხოვრება უშუალოდ უკავშირდება ჩვენს კუთხეს. იგი რაჭის ერთგული შვილი გახლდათ, მიუხედავად მრავალი შესაძლებლობისა, სიცოცხლის ბოლო წუთამდე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიმშიში ცხოვრობდა და აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმეებში. აღნიშნულ სოფელში მიწის ყოველი მონაკვეთი მის სახელსა და ხსოვნას უკავშირდება - აქ „მისი სული ტრიალებს“.


ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აწ გარდაცვლილი დავით (დათუნია) სხირტლაძის სახელის უკვდავსაყოფად, მისი ღვაწლის დაფასებისა და მისდამი პატივის მიგების მიზნით, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მის მშობლიურ სოფელ ხიმშიში, სადაც დათუნიას მთელი ბავშვობა და ცხოვრების დიდი ნაწილი აქვს გატარებული, მდ. რიონზე არსებულ ხიდიკრის ახლადრესტავრირებულ ხიდს მიენიჭოს მისი სახელი. დასახელებული ხიდი დღეის მდგომარეობით არავის სახელს ატარებს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ შესაბამისად, გთხოვთ,

განიხილოთ ჩემ მიერ ინიცირებული საკითხი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიმში მდ. რიონზე არსებული ხიდის ახლადრესტავრირებული ხიდისათვის დავით (დათუნია) სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ.

პატივისცემით,

ლერი გელოვანიშვილი



ფრაქციის თავმჯდომარე

ფრაქცია "ქართული ოცნება"